№ 95 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. პარასკევი, 30 აპრილი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. ,,საქ. რესპ.'' 1920 წლისათვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

პარასკევს, აპრილის 30, ორკესტრის ბენეფისი სტაროსტინას მონაწილეობით I.

## რიგოლეტო

II. ,,ქორწილი მოლოროსიაში''. შაბათს, მაისის 1, ოპერა მუშებისათვის და საოპერო სეზონის დახურვა „ქეთო და კოტე“.

ამა წლის აპრილის 30-ს დანიშნულია

## ახალციხის მაზრის ერობის ხმოსანთა მეორე ყრილობა

ასარჩევია 6 უბნის მომრიგებელი მოსამართლე ჯამაგირი 4000 მანეთი თვეში, საგზაო და დღიური ხარჯი უბნის საზღვრებში მიმოსვლისათვის 500 მანეთი თვეში.

მსურველთ შეუძლიათ გამოგზავნონ თხოვნა ქ. ახალციხის სამაზრო ერობის გამგეობის სახელზე. 754 7—7

## განცხადება.

### ყოველივე რწმუნებულებანი:

მინდობილობის, წერილების, ოქმების ან სხვა რაიმე სახით გაცემული ჩვენ მიერ, როგორც სავაჭრო სახლის

ძმები გ. და ნ. ტერ-აბრამოვების და კომპ.

წევრების მიერ, ამავე სავაჭრო სახლის წევრების: ივანე ნიკიტას ძე ტერ-აბრამოვის, ნიკიტა ივანეს ძე ტერ-აბრამოვის და ნინა (ნუნა) ვარლამის ასული ტერ-აბრამოვისადმი—ვაცხადებთ გაუქმებულად.

სავაჭრო სახლი „ძმები გ. და ნ. ტერ-აბრამოვების და კომპ.“ წევრები: გრიგოლი ივანეს ძე ტერ-აბრამოვი და ნიკიტა ავაკის ძე პეტროსიანი. 3—2

## პირველ ქალთა ათასეულს

### ესაჭიროება გამოცდილი ბეითალ-ფერშალი

თავისუფალ საშტატო ვაკანსიაზე ჩარიცხვით.

მსურველებს პირობების გაგება შეუძლიათ აღნიშნულ ათასეულის კანცელარიაში, ქ. ქუთაისი, რუბანის ქუჩა, ყოველ დღე დილის 9-3 საათამდე, ათასეულის მნეხთან. 467 3—3

## ოფიციალური განყოფილება

## შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ადგილობრივ დაწესებულებათა 1920 წ. იანვრის 1-დან ივნისის 1-დე.

| №№ რიგზე. | თანამდებობათა დასახელება. | თანამდებობათა რაოდენობა | თითეულს თვიურად | თვიურად ყველას | ყველას მიმდინ. წლის იანვ. 1-დან მაის. 31-ე. |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მანეთი | | |
| | **პირველი კლასის კანტორები:** | | | | |
| 1 | **ტფილისის ფოსტის კანტორა.** | | | | |
| | უფროსი | 1 | 4820 | 4820 | 24100 |
| | თანაშემწე | 1 | 4320 | 4320 | 21600 |
| | ფ.-ტ. მოხელე I ხარისხისა | 16 | 3920 | 62720 | 313600 |
| | " " II " | 16 | 3720 | 59520 | 297600 |
| | " " III " | 13 | 3620 | 47060 | 235300 |
| | " " IV " | 10 | 3520 | 35200 | 176000 |
| | " " V " | 17 | 3120 | 53040 | 265200 |
| | მანქანით გადამწერი | 1 | 2080 | 2080 | 10400 |
| | ფოსტალიონი მაღალი ჯამაგირით | 80 | 2720 | 217600 | 1088000 |
| | " დაბალი " | 8 | 2400 | 19200 | 96000 |
| | დარაჯი | 25 | 1960 | 49000 | 245000 |
| | ჯამი | 188 | — | — | 2772800 |
| 2 | **ტფილისის ტელეგრაფის კანტორა.** | | | | |
| | უფროსი | 1 | 4820 | 4820 | 24100 |
| | თანაშემწე | 1 | 4320 | 4320 | 21600 |
| | ფ.-ტ. მოხელე I ხარისხისა | 28 | 3920 | 109760 | 548800 |
| | " " II " | 40 | 3720 | 148800 | 744000 |
| | " " III " | 45 | 3620 | 162900 | 814500 |
| | " " IV " | 50 | 3520 | 176000 | 880000 |
| | " " V " | 54 | 3120 | 168480 | 842400 |
| | " " VI " | 22 | 2960 | 65120 | 325600 |
| | უფროსი მექანიკოსი | 5 | 4120 | 20600 | 103000 |
| | უმცროსი მექანიკოსი მაღალი ჯამაგირით | 2 | 3720 | 7440 | 37200 |
| | " " დაბალი " | 3 | 3620 | 10860 | 64300 |
| | ზედამხედველი მაღალი ჯამაგირით | 8 | 3520 | 28160 | 140800 |
| | " დაბალი " | 8 | 3120 | 24960 | 124800 |
| | მონტიორი | 1 | 3360 | 3360 | 16800 |
| | მანქანით გადამწერი | 3 | 2080 | 6240 | 31200 |
| | დეპეშის დამტარებელი მაღალი ჯამაგირით | 80 | 2560 | 204800 | 1024000 |
| | " " დაბალი " | 14 | 2240 | 31360 | 156800 |
| | დარაჯი | 6 | 1960 | 11760 | 58800 |
| | მეკარეები (დარაჯის ჯამაგირით) | 3 | 1960 | 5880 | 29400 |
| | ჯამი | 374 | — | — | 597810 |
| 3 | **ქუთაისის ფოსტა-ტელ. კანტორა.** | | | | |
| | უფროსი | 1 | 4320 | 4320 | 21600 |
| | თანაშემწე | 1 | 4120 | 4120 | 20600 |
| | ფ.-ტ. მოხელე I ხარისხისა | 13 | 3920 | 50960 | 254800 |
| | " " II " | 16 | 3720 | 59520 | 297600 |
| | " " III " | 18 | 3620 | 65160 | 325800 |
| | " " IV " | 23 | 3520 | 80960 | 404800 |
| | " " V " | 13 | 3120 | 40560 | 202800 |
| | " " VI " | 7 | 2960 | 20720 | 103600 |
| | უფროსი მექანიკოსი | 1 | 4120 | 4120 | 20600 |
| | უმცროსი მექანიკოსი დაბ. ჯამ. | 1 | 3620 | 3620 | 18100 |
| | ზედამხედველი მაღალი ჯამაგ. | 4 | 3520 | 14080 | 70400 |
| | " დაბალი " | 5 | 3120 | 15600 | 78000 |
| | მანქანით გადამწერი | 1 | 2080 | 2080 | 10400 |
| | ფოსტალიონი მაღალი ჯამაგირით | 25 | 2720 | 68000 | 340000 |
| | " დაბალი " | 5 | 2400 | 12000 | 60000 |
| | დეპეშის დამტარებელი მაღალი ჯამაგირით | 15 | 2560 | 38400 | 192000 |
| | " " დაბალი " | 5 | 2240 | 11200 | 56000 |
| | ჯამი | 154 | — | — | 2477100 |

1920 წ. აპრილის 8-ს

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## განკარგულებანი

### შინაგან საქმეთა სამინისტროსი.

20 აპრილი, 1920 წ., № 29.

**დამტკიცებულია:** შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსის მოვალეობათა აღმასრულებელი ალექსანდრე დარისპანის ძე შენგელია ზემო აღნიშნულ თანამდებობაზე.

23 აპრილი, 1920 წ., № 30.

**ინიშნება:** მოქალაქე ალექსანდრე ვლადიმერის ძე ჩიკვაიძე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმის უფროსის თანაშემწედ ა. წ. 21 მარტიდან.

მინისტრის ამხ. **ჭიჭინაძე.**

—

### გზათა დეპარტამენტისა

№ 41.

**ინიშნებიან:** საინჟენერო საბჭოს წევრებად: ლიანდაგის სამსახურის ტეხნიკური განყოფილების უფროსი გზათა ინჟენერი ა. მ. გეგიძე და მთავარ სახელოსნოების უფროსი ინჟენერი ტეხნოლოგი გ. ქ. სარაჯიშვილი.

27 აპრილი, 1920 წ. № 43.

ხაშურის სადგურზე ა. წ. 10 აპრილს ცეცხლის გაჩენის დროს რკინის გზათა მილიციის მოსამსახურეებმა, სახელდობრ: რაიონის უფროსმა გ. გოგუამ, ინსტრუქტორმა ლ. შენგელიამ, მილიციონერებმა ა. გოგვაძემ, ი. ღვინიაშვილმა, ა. ნოზაძემ, გ. ქიტიაშვილმა, ბ. წერეთელმა, ს. ბლიაძემ, ლ. თაბუკაშვილმა, ა. ერშოვმა და ს. ფანჩვიძემ გამოიჩინეს სამაგალითო მხნეობა და თავიანთ თავდადებული მუშაობით უზრუნველჰყვეს სახაზინო ქონება განადგურებისაგან და ქურდულად დატაცებისაგან, რის გამო ეცხადება მათ, თანახმად მილიციის უფროსის წარმოდგენისა, მადლობა უკანასკნელის ნამსახურობის ფურცელში შეტანით.

27 აპრილი, 1920 წ., № 44.

**მტკიცდება:** სახაზინო რკინის გზების ნავთსადენის უფროსის თანაშემწედ სამთო ინჟენერი ნიკოლოზ დავითის ძე ვაჩნაძე

გზათა დეპარტამენტის დირექტორი **ჭიჭინაძე.**

—

### ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

22 აპრილი, 1920 წ., № 127.

**განთავისუფლებულ** იქნას დროებით სამსახურიდან ორი თვის ვადით უჯამაგიროთ სამინისტროს რევიზორი გიორგი ესტატეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი ამა წლის 1 აპრილიდან.

22 აპრილი, 1920 წ., № 128.

**დათხოვნილ** იქმნას სრულიად სამსახურიდან თანახმად თხოვნისა სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის მოლარის თანაშემწე ვლადიმერ მენაბდე ა. წ. აპრილის 17-დან.

22 აპრილი, 1920 წ., № 129.

**დაინიშნოს** ტფილისის მაზრის აქციზის ინსპექტორის უმცროსი თანაშემწე სვიმონ ივანეს ძე ფაფერაშვილი ამავ მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ა. წ. 1 აპრილიდან.

22 აპრილი, 1920 წ. № 130.

**დაინიშნოს** გორის მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროსი თანაშემწე ვასილ გიორგის ძე ბათიაშვილი ამავე მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ამა წლის 1 აპრილიდან.

22 აპრილი, 1920 წ. № 131.

**დაინიშნოს** თელავის მაზრის აქციზის ინსპექტორის უმცროსი თანაშემწე ვლადიმერ ივანეს ძე ჩიჩუა ამავე მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ა. წ. 1 აპრილიდან.

22 აპრილი, 1920 წ № 132.

**დაინიშნოს** თელავის მაზრის აქციზის ინსპექტორის უმცროსი თანაშემწე ილია ივანეს ძე პეტრიაშვილი ამავე მაზრის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ამა წლის 1 აპრილიდან.

22 აპრილი, 1920 წ. № 133.

**დაინიშნოს** თელავის მაზრის აქციზის ინსპექტორის უმცროსი თანაშემწე ივანე იოსების ძე მთვარელიშვილი ამავე მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ამა წლის 1 აპრილიდან.

22 აპრილი 1920 წ. № 134.

**დაინიშნოს** ახალციხის მაზრის აქციზის ინსპექტორის უმცროსი თანაშემწე დავით მალხაზის ძე ანანიაშვილი ამავე მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ამა წლის 1 აპრილიდან.

22 აპრილი, 1920 წ., № 135.

**დაინიშნოს**: ქუთაისის მაზრის აქციზის ინპექტორის უმცროსი თანაშემწე ვლადიმერ ანტონისძე არონიშიძე ამავე მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ამა წლის 1 აპრილიდან.

ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი **ხ. ავალიანი.**

—

### იუსტიციის მინისტრისა.

18 აპრილი, 1920 წ., № 112.

**დაინიშნოს** სოხუმის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგის თანამდებობის აღმასრულებლად იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის საინსპექტორო განყოფილების უფროსი ალექსანდრე სვიმონის ძე ყიფიანი ა/წ. აპრილის 20-დან. იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

# მობილიზაცია

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დასაცავად იმ გარემოებათაგან, რომელნიც ამ ჟამად შეიქმნა მისს საზღვრებზე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ საჭიროდ დაინახა ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადება.

ამ მიზნით გაწვეულ იქმნებიან ჯარში ყველა სათადარიგო ჯარის კაცნი და მოლაშქრენი, დაბადებულნი 1888, 1889, 1894 და 1895 წლებში, რომელნიც დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდენ ტფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვოგზალის ქ.) ამა წლის 30 აპრილს, 10 საათზე, ჯარში წასასვლელად. ამას გარდა, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ იმავე სამმართველოში ნაჩვენებ ვადაზე ყველა ექიმები, დაბადებიდან 35 წლამდე.

სხვა და სხვა დაწესებულებები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გაუსწორონ ანგარიში გასაწვევ მოსამსახურეთ, რომელთაც (შტატში მყოფთ) ჯარში ყოფნის დროს ადგილი ენახებათ.

**ქალაქის გამგეობა.**

# სათადარიგო ჯარისკაცების საყურადღებოდ

**სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება ამით აცხადებს, რომ მობილიზაციით გაწვეულ სათადარიგო ჯარის კაცებს, რომლებიც ჯარის ნაწილებში (სამხედრო დაწესებულებებში და სამმართველოებში) გამოცხადდებიან სახმარებლად სრულიად ვარგის საკუთარ ტანისამოსში და ფეხსაცმელებში (ჩექმებში ან ბათინკებში), მიეცემათ ნივთების ღირებულება მათი ვარგისობის მიხედვით შესაფერი ფასები თანახმად უკვე დამტკიცებულ ბრძანებისა.**

479. 3—2

არა ოფიციალური განყოფილება

# ბაქო

**დეპეშა ლენინს.**

ბაქოს დაკავების შემდეგ ბოლშევიკებმა ორი დეპეშა გაუგზავნეს ლენინს: 1) ლენინს. ვეყრდნობით რა ბაქოს—მოსკოვში რევოლიუციონურ პროლეტარიატისა და მთელი ადერბეიჯანის გლეხთა ნებას, ადერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მუსავატის პარტიის კონტრ-რევოლიუციონურ მოღალატე მთავრობას ძირს ჩამოგდებულად აცხადებს. დღეიდან ერთად ერთ უფლება მოსილ მთავრობათ, რომელიც გამოსთქვამს ადერბეიჯანის მშრომელთა ნებასა და სურვილს წარმოადგენს ადერბეიჯანის დროებითი სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი, რომელშიც შემდეგი ამხანაგები შედიან: ნარიმან ნარიმანოვი, მირზა დავით ჰუსეინოვი, მუსავექოვი, ჰამიდ სულთანოვი, ალიმოვი და ალი ჰაიდარ კარაევი. ეს კომიტეტი იარსებებს სანამ მოწვეული არ იქნება მუშათა, გლეხთა და ასკერთა დეპუტატები. ადერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ადერბეიჯანის დამოუკიდებელ რესპუბლიკის დროებითი სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი ჩადგა სათავეში ქ. ბაქოს რევოლიუციონურ პროლეტარიატისა და ადერბეიჯანის მშრომელ გლეხთა ნება სურვილით და მუსავატის ძველ მთავრობას აცხადებს ხალხის მოღალატეთ და მხარის დამოუკიდებლობის მტრათ. დროებით სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი სწყვეტს ყოველივე კავშირს ანტანტასთან და საბჭოთა რუსეთის სხვა მტრებთან. არა გვაქვს შეძლება საკუთარი ძალით გაუძლვეთ შინაურ და გარეულ კონტრ-რევოლიუციონურ შეერთებულ ბანდებს, ადერბეიჯანის სამხედრო რევოლიუციონურ შეერთებულ ბანდებს, ადერბეიჯანის სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი წინადადებას აძლევს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას ძმური კავშირი შეკრან მსოფლიო იმპერიალიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაში და სთხოვს რეალურ დახმარებას წითელი არმიის რაზმების მოწოდებით. ადერბეიჯანის რესპუბლიკის სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტი: ნარიმან ნარიმანოვი, მირზა დავით ჰუსეინოვი, მუსაბეკოვი, ჰამიდ სულთანოვი, ალიმოვი და ალი ჰაიდარ კარაევი (ს. დ. ს.).

**მთავრობის დაპატიმრება**

ბაქოდან მიღებული ცნობებით ბოლშევიკურ მთავრობას დაუპატიმრებია ძველი მთავრობის მთელი შემადგენლობა.

# ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია.

**(14 აპრილის სხდომა, ოქმი № 4).**

(დასასრული)

**კრიჩინსკი.** მე მგონია ერთგვარი გაუგებრობა ხდება საერთაშორისო უფლებრივ დამოკიდებულების კერძო უფლებრივ დამოკიდებულებასთან შერევის გამო. იმ სუვერენიტეტიდან, რომელიც რესპუბლიკათა კონფერენციაზეა წარმოდგენილი, გამომდინარეობს, რომ არ შეიძლება რომელიმე მხარეს ესა თუ ის გადაწყვეტილება თავს მოვახვიოთ და მათ შორის ხელშეკრულების შეკვრის დროსაც კი, ამ ხელშეკრულების ესა თუ ის გარკვევა თვითეულის უდავო უფლებას შეადგენს.

**ვექილოვი.** მე სრულებით ვუერთდები გ. ს. ლორთქიფანიძის აზრს, რომ ჩვენ აქ შევიკრიბეთ არა იმიტომ, რომ საერთაშორისო უფლების შესახებ ვიდავოთ, არამედ იმიტომ, რომ ზავი აღვადგინოთ და ამ მხრივ კონფერენციამ უკვე გადასდგა ზოგი ნაბიჯი, მაგ., გააგზავნა კომისიები. საჭიროა სხვა სადავო საკითხებშიც როგორმე შევთანხმდეთ.

**ე. ზევეჭკორი.** თუ „სტატუს-ქვოსაკენ“ დაბრუნება მივიღეთ მთელ ძველ მდგომარეობის აღდგენათ, მაშინ ფარისბეგი მართალია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამ მოვლენებამდის სომეხ მცხოვრებთა უფლებრივი მდგომარეობა. სახელმწიფოს სუვერენობა რჩება, მაგრამ მას ეძლევა განსაზღვრული უფლებები. 23 ნოემბრის ხელშეკრულება დაყრდნობილია იმაზე, რომ ყველა სადავო საკითხები არბიტრაჟით სწყდება. თუ არის პრეტენზიები, ისინი ჰქმნიან ერთ უფლებას, სახელდობრ, რომ ეს დავა არბიტრაჟით გადასწყდეს. ჩვენი კონფერენცია არის ორგანო, რომელიც უთანხმოებათა მშვიდობიანათ გადაწყვეტის პრინციპებს ანხორციელებს, რაც ამას ეწინააღმდეგება, კონფერენციამ უნდა უარჰყოს. კონფერენცია უნდა გამოდიოდეს იმ დებულებებიდან, რომელიც ზავსა და მშვიდობიანობას უზრუნველჰყოფს. კონფერენციას არ შეუძლია მიიღოს ყოველი რეზოლიუცია, რომელიც არსებულ შეთანხმების გაუქმებისაკენ იქნება მიმართული.

**ხ. გ. მამიკონიანი.** ადერბეიჯანის მთავრობას მხოლოდ დროებით ეპყრა ყარაბახი. უკანასკნელის სომეხთა მცხოვრებნი, არა ჰქონდათ რა სომხეთის მთავრობისაგან დახმარება, იძულებული იყვნენ დათანხმებულიყვნენ ადერბეიჯანის დამორჩილებაზე. კონფერენციამ ანგარიში უნდა გაუწიოს ფაქტებს და ყველა იმ მოვლენებს, რომლებიც უკანასკნელ ხანებში მოხდა. და თუ ეხლა ადერბეიჯანის მთავრობას უჭირს ამ მდგომარეობაზე დათანხმდეს, მაშინ დეე მან დაამტკიცოს ის დეკლარაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში კონფერენციაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

**ე. პ. გეგეჭკორი.** კამათი დასრულებულია. ჩვენ წინ სდგას ორი წინადადება: 1—შევინარჩუნოთ მიღებული დადგენილება, 2—შევავსოთ დადგენილება ზოგიერთ ცვლილებით. შეთანხმების გამოსამუშავებლად სხდომას შეწყვეტილად ვაცხადებ (სხდომა სწყდება 15 წუთით).

**ე. პ. გეგეჭკორი.** სხდომა გრძელდება, გთხოვთ წინადადებები შემოიტანოთ.

**ოგანჯანიანი.** სომხეთის დელეგაცია ფიქრობს, რომ მიღებული დადგენილება ძალაში უნდა დარჩეს.

**აგაევი:** ადერბეიჯანის დელეგაციას შეუძლია დაეთანხმოს წინანდელ რეზოლიუციას იმ პირობით, რომ შიგ შეტანილი იყოს შესწორება.

**ლორთქიფანიძე.** გამოსავალი ხომ საჭირო არ არის. ჩემის აზრით აჯობებდა წინანდელი დადგენილების მიღება წინად არსებულ საზღვრების აღდგენის შესახებ განცხადების თანდართვით.

**ე. პ. გეგეჭკორი.** შეუძლია, თუ არა ადერბეიჯანის დელეგაციას თავისი მთავრობის სახელით ყარაბახის სომეხ მცხოვრებთ ყველა უფლებათა გარანტია მისცეს.

**აგაევი.** ადერბეიჯანის დელეგაციის სახელით აცხადებს შემდეგს: ადერბეიჯანის მთავრობა ყარაბახის ლოიალურ სომეხ მცხოვრებთ, რომელნიც თავის ადგილებზე უნდა დაბრუნდენ, დაუტოვებს ყველა ეროვნულ კულტურულ უფლებებს, რომლითაც ისინი შეტაკებამდე სარგებლობდენ.

**ოგანჯანიანი.** ამ დელეგაციაში ნათქვამი სიტყვით „ლოიალური“ და „ეროვნულ-კულტურული უფლებანი“ ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებს, რადგანაც ყარაბახში ამ უფლებათა გარდა იყო და უნდა იყოს სხვა უფლებანიც, მით უფრო, რომ მოხდა ერთგვარი ცვლილებანი.

**გეგეჭკორი.** მაშინ მე კონფერენციას წინადადებას მივცემ შემდეგი რეზოლიუცია მიიღოს: კონფერენცია ღებულობს რა მხედველობაში ადერბეიჯანის დელეგაციის განცხადებას, სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ ყოველივე ეს ცხოვრებაში იქნება გატარებული. სომხეთის დელეგაცია მოითხოვს, რომ დეკლარაციაში იყოს ნათქვამი უზრუნველყოფილი იქნება ყველა უფლება და უპირატესობანი, რომლითაც სომეხი მცხოვრებლები სარგებლობდენ.

**აგაევი.** მე ვაცხადებ, რომ ადერბეიჯანის მთავრობა მიიღებს ყველა ზომებს, რომ სომეხ ლტოლვილთ მისცეს საშუალება თავის ადგილებზე დაბრუნებისა და მათი ეროვნულ კულტურულ უფლებანი უზრუნველყოფილი იქნება. სომხეთის დელეგაცია აცხადებს, რომ მას არც ეს წინადადება აკმაყოფილებს და ამიტომ მას არ შეუძლია ამ დადგენილებას დაეთანხმოს.

**კრიჩინსკი.** თუ ეს დადგენილება არ იქნება, მაშინ ჩვენ მოვხსნით ჩვენს განცხადებას. გთხოვთ ეს ოქმში შეიტანოთ.

**აგაევი.** კითხულობს ადერბეიჯანის დელეგაციის განცხადებას: არსებულ საზღვრების აღდგენის შესახებ კონფერენციის წევრ გ. ს. ლორთქიფანიძის განცხადების გამო ადერბეიჯანის მთავრობის დელეგაციის სახელით ვაცხადებ შემდეგს: ვღებულობთ რა ამ წინადადებას, ჩვენი დელეგაციის სახელით მოგახსენებთ: ადერბეიჯანის მთავრობა ყარაბახის სომეხ მცხოვრებთ, რომელნიც თავიანთ ადგილებზე უნდა დაბრუნდენ, შეუნარჩუნებს ყველა იმ კულტურულ-ეროვნულ უფლებებს, რომლითაც ეს მცხოვრებნი აქამდის სარგებლობდენ.

მიიღო რა ეს ამბავი ცნობათ, კონფერენციამ დაადგინა: დეპეშები გააგზავნოს ყველა იმ ადგილში, სადაც კვლავ გრძელდება სისხლის ღვრა და განსაკუთრებული მოწოდებით მიმართოს ამიერ-კავკასიის ერებს.

სხდომა იხურება საღამოს 10 საათზე. შემდეგი სხდომა დანიშნულია ხვალის 11 საათისათვის.

# უცხოეთი

**რუმინია და საბჭოთა რუსეთი.**

ჩიჩერინმა მისალმების დეპეშა გაუგზავნა რუმინიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოთა რუსეთის და რუმინიის შორის საზავო მოლაპარაკების დაწყების გამო. (გოლ. როს.)

**ყარაბახის ამბები.**

შინაგან საქმ. მინისტრს. შუშიდან 1920 წ. 26 აპრილს. ჩვენი მხრივ სამხედრო მოქმედების სრულიად შეწყვეტის მიუხედავათ, სომხები დავდასხმას განაგრძობენ. თავს დაესხენ აბდალ და გიულაბლუს, მოჰკლეს 175 ქალი, ბავშვები და მამაკაცები, მოჰკლეს დარაჯი ასკერი, თავს დაესხენ მესელირს და სხვ.

გენ. გუბერნ. **ხ. სულთანოვი.**

**იტალიის და ავსტრიის შორის დამოკიდებულება.**

8 აპრილს ავსტრიის კანცლერს რენერს მსჯელობა ჰქონდა იტალიის პრემიერ-მინისტრ ნიტისტან ცენტრალურ ევროპის საერთო მდგომარეობისა და იტალია-ავსტრიის დამოკიდებულობის შესახებ. რენერმა განაცხადა, რომ ავსტრიას სურვილი აქვს განამტკიცოს თავისი არსებობა დადებულ საზავო ხელშეკრულების ნიადაგზე. რენერის აზრით ამისთვის აუცილებელია საზღვრების საკითხის დაჩქარება, რომელიც დამოკიდებულია რადკერსბურგის ევაკუაციასთან შტირიაში და კარინტიაში პლებისციტის გატარებაზე. შემდეგ რენერი შეჩერდა ავსტრიის მძიმე სასურსათო მდგომარეობაზე და ავსტრიის ნედლი მასალით უზრუნველყოფის საკითხზე.

ნიტიმ განმარტა იტალიის მთავრობის შეხედულება ზავის შედეგებზე და კერძოდ ავსტრიასთან დამოკიდებულებაზე. მან განაცხადა, რომ იტალიის მთავრობა მომხრეა მისცეს ზემო ადიჟეში მცხოვრებ გერმანელებს ავტონომია. შემდეგ ნიტიმ განაცხადა, რომ მისი მთავრობა აუცილებელ საჭიროთ სცნობს რაც შეიძლება ჩქარა მოაწყოს ნორმალური სავაჭრო დამოკიდებულება ავსტრიასთან და დაეხმაროს ახალ რესპუბლიკას საკუთარ მრეწველობის განვითარების საქმეში.

ნიტისთან მსჯელობის შემდეგ რენერი მიიღო კოროლმა, რომელიც კმაყოფილია იტალიისა და ავსტრიის შორის დამყარებულ მშვიდობიანობით და აღნიშნავს იტალიის დიდ სიმპატიას ახალგაზრდა დემოკრატიულ სახელმწიფოსადმი და მის თავისუფალ დაწესებულებებისადმი.

მან აგრეთვე განაცხადა, რომ იტალია არასოდეს არ უყურებდა მტრულათ ავსტრიის გერმანელ მცხოვრებთ და დარწმუნებულია, რომ ამ ორ ერთა შორის მუდამ იქნება ზავი. („ტანი“)

**იაპონელები შორეულ აღმოსავლეთში.**

იაპონიის დელეგაციამ პარიზში 6 აპრილს შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „რამდენიმე ხანია რაც ვლადივასტოკში, ხაბაროვსკში, ნიკოლსკ-ურუსეთში სწარმოებს აგიტაცია იაპონელთა წინააღმდეგ. 4 აპრილს რუსები სრულიათ უსაბაბოთ დაეცნენ იაპონელთა ჯარს ვლადივოსტოკში. იაპონელთა ჯარის მთავარსარდალი იძულებული იყო მოეთხოვა რევოლიუციონურ ჯარის განიარაღება. ჯარი განიარაღებულ იქნა 5 აპრილს დილით. ნიკოლსკ-უსურეთში და ხაბაროვსკში რუსთა და იაპონელთა ჯარებს შორის ხდება შეტაკებები. იაპონელები იქაც ითხოვენ რუსის ჯარის განიარაღებას.

იაპონიის წარმომადგენელი ციმბირში მოლაპარაკებას აწარმოებს ადგილობრივ ძალებთან, რომ ზომები მიიღონ მშვიდობიანობის დასაცავად აშ მხარეში. დაწვრილებითი ცნობები ამ მოლაპარაკებისა არ არის მიღებული.

შამხაიდან 6 აპრ. დეპეშით იტყობინებიან: „ხარბინის კერძო ცნობებით, 3-4 აპრ. იაპონელებს დაუკავებიათ ვლადივოსტოკში მთავრობის შენობები და სადგური, სადაც თავიანთი დროშა გამოუფენიათ. შემდეგი ცნობებით კი დროშა მოხსნილ და აღდგენილ იქნა ქალაქში წესრიგი.

ვაშინგტონიდან აშ ამბის გამო იტყობინებიან შემდეგს: „ადგილობრივ ოფიციალურ წრეების აზრით, ვლადივოსტოკის იაპონელების მიერ დაკავება ამოწმებს იაპონელთა სურვილს, რომ გამოიჩინონ თავიანთი სიმტკიცე ციმბირში, სანამ სრულიად უზრუნველყოფილი არ იქნებიან ბოლშევიკების საშიშროებისგან.

შეერთებული შტატები თავს იკავებენ ყოველივე კრიტიკიდან იაპონელთა მოქმედების მიმართ, რადგან ბოლშევიკები საფრთხეს წარმოადგენენ მათი ცხოვრების ინტერებისთვის მანჯურიაში და კორეაში.

# დეპეშები

**(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)**

**უვნობი რადიო სადგურიდან.**

საფრანგეთის მუშათა ლიდერები სხვა და სხვა აზრის არიან 1 მაისის სადღესასწაულო პროგრამის შესახებ. სადღესასწაულო პროგრამის ტეხნიკური ორგანიზაცია აწევს მთლად მუშათა გენერალურ ფედერაციას, რომელიც

ამ საკითხს საბოლოოთ გადასწყვეტს ოთხშაბათს. გაზეთები იუწყებიან, რომ შრომის ფედერაციამ გადასწყვიტა ეს დღე მშვიდობიანათ იუქმოს, გვერდი აუხვიონ მანიფესტაციას, რომელსაც შეუძლია პოლიციასთან შეტაკება გამოიწვიოსო. რკინის გზელთა ფედერაციამ დღეს გამოიმუშავა 1 მაის. დღესასწაულის პროგრამა, პრეზიდიუმში გენერალურ მდივნის ბიდეგარეის მაგიერ, რომელმაც უმცირესობა მიიღო, აირჩიეს მონჲსო, რომელიც იცავდა საკითხს რევოლიუციის შესახებ, იმ დროს, როდესაც ბიდეგარეი ამის წინააღმდეგი იყო. ბიდეგარეი, რომელიც 2 თვის წინად ითვლებოდა უკიდურეს მემარცხენეთ, დღეს ორგანიზაციის მიერ უარყოფილია, როგორც ზედმეტი ზომიერი. გადასცეს რა მონჲსას პირველი მაისის დღესასწაულის კონტროლი პარტიამ მაინც გადასწყვიტა, რომ (დამახინჯებულია) ამოირჩიეს პარტიის სალიდეროთ დაუყონებლივ რევოლიუციის დაწყების პლატფორმაზე. რევოლიუციის ორგანიზაცია და შესაფერი მომენტის არჩევა შრომის გენერალურ ფედერაციას მიანდვეს. მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება, რადგანაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ დაუშვებელია პირველ მაისის საზოგადო პროცესები და მანიფესტაციები პარიზის, კედლების შიგნით შრომის გენერალური ფედერაცია ფიქრობს ეს „ვეტო" თავიდან აიცილოს და აღლუმი გამართოს პარიზის კედლებს გარეთ, პარიზის სხვა და სხვა მიდამოებში. შრომის გენერალური ფედერაციის პროგრამა ამ ჟამად ასეთია: მუშაობის შეწყვეტა 24 საათის განმავლობაში, რათა მიაღწიონ. 1. ყველა სამხედრო და პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტიას; 2. საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენას; 3. საზოგადო შრომის ნაციონალიზაციას.

### ფრანგული პრესა.

მოკავშირეთა დეკლარაცია, რომლითაც დათავდა სან-რემოში კონფერენციის მუშაობა, უარყოფს გერმანიის უკანასკნელ თხოვნას და ხელშეკრულების აღსრულებას მოითხოვს. დეკლარაცია შემდეგი სიტყვებით თავდება: გერმანია უნდა მიხვდეს, რომ მოკავშირეთა კავშირი ისევე მტკიცეა გერმანიის მიერ ხელშეკრულების აღსრულებაში, როგორც ომის განმავლობაში და ერთად-ერთი, საშუალება, რომელიც გერმანიას თავისი ადგილის დაჭერის საშუალებას აძლევს ეს არის ყველა ხელშეკრულების ვალდებულებათა ლოიალური აღსრულება.

უმაღლესმა საბჭომ მოიწონა ჰაერში ფრენის პირობები, რომელიც ოსმალეთის ხელშეკრულებაში შედის. დღის სხდომაზე დასრულდა ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების საკითხი. გადაწყდა გერმანიის კანცლერს გაუგზავნოს ნოტა, რომლითაც გერმ. მთავრ. წარმომადგენლებს 25 (?) სთვის მოიწვევენ სპაში უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელთან შესახვედრად. კონფერენციამ გამოიმუშავა სამხედრო და საზავო ექსპერტებთან ერთად გერმანიის პასუხი ნეიტრალურ ზონაში გერმანიის ზედმეტი ჯარის ყოფნისა და მათი თანდათან შემცირების შესახებ (გამოტოვეაულია) 1919 წლ. 8 აგვისტოდან გერმანიის საზავო მასალისა და ომის კანონების დამრღვევთა დასჯის საკითხზე თათბირის შემდეგ, უმაღლესმა საბჭომ სან-რემოში კონფერენცია დახურა.

# ახალი ამბები

✦ სამხედრო ცენზორად დანიშნულია ცენტრალურ შტაბის პოლკოვნიკი ჩხეიძე. ამ დღეებში გამოცხადებული იქნება სამხედრო ცენზურის წესები. ცენზურა იქნება საერთო.

✦ დამატებითად კონკურსის პირობებისა მთავრობის საგანგებო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ სეისმომძლე საცხოვრებელ სახლების პროექტების წარმოდგენის ვადა თავდება 15 მაისს ა/წ. 12 საათზე, რის შემდეგაც არც ერთი გეგმა განხილულ არ იქნება.

✦ დღეს დილის 11 საათზედ შესდგება დამფუძნებელ კრების საგანგებო სხდომა. მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია გააკეთებს მოხსენებას ადერბეიჯანის და საქართველოს საზღვრებზე შექმნილ მდგომარეობის შესახებ.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განკარგულება გასცა ყველა დაწესებულებებისადმი, რათა გაანთავისუფლონ სამსახურიდან ის პირები, რომელნიც ვალდებულნი არიან გამოცხადდენ მობილიზაციით.

✦ მაისის პირველს დღის 2 ს. გზათა დეპარტამენტის ინიციატივით გაიხსნება ტფილისის სადგურის ახალი შენობა.

✦ მაისის ორს, სახალხო სახლში დანიშნულია მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომა. სხდომა განიხილავს მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს.

✦ ბაქოს და ტფილისს შორის გუშინ რკინის გზის მიმოსვლა შესწყდა.

✦ ერევანში გარდაიცვალა ცნობილი სომხეთის მწერალი პაპაზიანი.

✦ ტფილისში მყოფი ადერბეიჯანის მისია აცხადებს, რომ ყოველგვარი ცნობების და ადერბეიჯანში წასასვლელ ნებართვების მიღება შეჩერებულია.

✦ ერევანში ჩავიდა ინგლისის პარლამენტის ყოფილი წევრი ლორდ ხეი.

✦ სომხეთის საქველმოქმედო საზოგადოებამ დაადგინა: მედიკურ რაზმს, რომელიც მიემგზავრება ზანგეზურში მისცეს ლაზარეთისთვის საჭირო მედიკამენტები.

✦ სომხეთის მთავრობამ აცნობა სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარეს ა. აგარონიანს პარიზში, რომ სომხეთის ტერიტორიალური საკითხი გადასწყდება ადგილობრივ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოების ტერიტორიალურ საკითხებთან ერთად.

✦ გუშინდელ დღიდან ნავთის ფასმა ტფილისში შესამჩნევად აიწია. ზოგიერთ ადგილს გირვანქა ნავთს ჰყიდდნენ 10 მანეთად. ქუჩაში ხალხი რიგში იდგა.

✦ 22 აპრილს გემი „პალაცკი"თ სტამბოლში ჩავიდა ფინანსიური მისია კ. კანდელაკის თავმჯდომარეობით. მისიას შეხვდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი გ. რცხილაძე და გოგოლაშვილი. იქიდან მისია ლონდონში გაემგზავრა.

✦ გენერალურ შტაბთან დაარსდა სამხედრო ცენზურა.

✦ საქართველოს მუზეუმი ბოტანიკურ განყოფილების გამგის ბორის შიშკინის მეთაურობით მართავს ბოტანიკურ ექსკურსიას წმ. გიორგის და ზედაზნის მონასტრის მიდამოებში შემდეგის მარშრუტით: პარასკევს, აპრილის 30 ნაშუადღევის 3 საათზე და 6 წ. ექსკურსანტები ბორჯომის მატარებლით № 19 გაემგზავრებიან სადგურ ავჭალისკენ. ავჭალიდან ფეხით გაემგზავრებიან წმ. გიორგის მონასტერში. (სადგურიდან 5 ვერსზე) ხვალ, შაბათს, 1 მაისს ექსკურსანტები გაემგზავრებიან საგურამოს ქედზე და საღამოთი წმ. იოანე ზედაზნის მონასტერში. კვირას, მაისის 2-ს ბრუნდებიან უკან ტფილისს ზედაზნის სადგურიდან. ექსკურსიაში მონაწილეობის მსურველნი უნდა გამოცხადდენ ტფ. სადგურზე აპრილის 30-ს ბორჯომის მატარებლის გასვლამდის სამი-მეოთხედი საათით ადრე ორის დღის საგძლით.

✦ რედაქციამ მიიღო შემდეგი გამოცემანი: 1) „სამართლის მეცნიერება" კირ. ნინიძის და ალ. ცისკარიძისა, გამოცემა „ნორჩი საქართველოსი". 2) ჟურნალი „ცისარტყელას" № 5, რომელშიაც მოთავსებულია ს. აბაშელის, იასამანის, ობოლი მუშის და სხვათა ლექსები. 3) ორკვირეული საერობო ჟურ. „ერობა" № 1 ერობათა კავშირის კომიტეტის ორგანო, რომელშიაც მოთავსებულია ბევრი საყურადღებო წერილები ერობის შესახებ. ყველა მოხსენებული გამოცემანი სუფთადაა გამოცემული.

✦ ცემის რკინის გზის სადგურზე გაიხსნა 1900 წლის 24 იანვრის კანონის თანახმად საფოსტო ოპერაციების წარმოება.

✦ ტფილისის საბაჟოს კანცელარია ამით აცხადებს დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ, რომ საბაჟოს დაწესებულებებში პირველ მაისიდან 1920 წლის მუშაობა იწარმოებს: კანცელარიაში დ. 8—2 საათამდე, საწყობებში დ. 7—3 საათამდე. რკინის გზის საწყობებში კი 6—3 საათამდე. სალაროში ფულის მიღება შეიძლება დ. 8—1

✦ 26 მაისის დღესასწაულის მოსაწყობად დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ აირჩია მომწყობ კომისიაში შემდეგი პირები: პ. საყვარელიძე, ბ. ჩხიკვიშვილი, გ. ქიქოძე.

✦ ტფილისის მაზრის ერობის ხმოსანთა ყრილობა დანიშნულია ტფილისში გამგეობის ბინაზე მაისის 20-ს. ეს იქნება წლიური ყრილობა. დღიურ წესრიგში დაყენებული იქნება უმთავრესად მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცება.

✦ 27 აპრილის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა შეიძინოს რუსთაველის პროსპექტზე არამიანცის სახლი მუშათა სასახლისთვის.

✦ განათლების მინისტრის განკარგულებით პალმოვის გიმნაზიის მეთვალყურეთ დაინიშნა ციგანკოვი. დირექტორად პედაგოგიურმა საბჭომ აირჩია მოლჟოვი.

✦ კვირას, აპრილის 2-ს სასახლეში დანიშნულია ერთა ლიგის საზოგადოებას პრეზიდიუმის სხდომა.

✦ კვირას, მაისის 2-ს საღ. 6 საათზე ქალ. საბჭოს სხდომების ზალაში, დანიშნულია ჟურნალისტების პროფ. კავშირის პირველი საზოგადო კრება, რომელზედაც საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენების შემდეგ მოხდება კავშირის წესდების განხილვა და დამტკიცება და შემდეგ გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

# ერობა

## ერობის ცენტრალურ კავშირში.

### ერობათა კავშირის მოწოდება.

გამოცხადებულ მობილიზაციის გამო ერობათა კავშირი მიმართავს ყველა სამაზრო ერობებს, რათა მათ ხელი შეუწყონ მობილიზაციის დაჩქარებით ჩატარებას და ამით დაეხმარონ სამშობლოს კარზე მომდგარ საფრთხის ასაცილებლად.

### ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის და ერობების სტატისტიკურ განყოფილებათა კომპეტენცია.

აპრილის 24-ს ერობათა კავშირის კომიტეტის ინიციატივით შესდგა ცენტრალურ-სტატისტიკურ კომიტეტის, ერობათა კავშირის, კომიტეტის ქალაქთა კავშირის, ტფილისის თვითმართველობის და ტფილისის სამაზრო ერობის წარმომადგენელთა თათბირი. თათბირს დაესწრნენ: ერობათა კავშირის კომიტეტის თავმჯდომარე პ. ჭიჭინაძე, კომიტეტის წევრი გ. სოლოროვი, ერ. კავშირის კომიტეტის სტატისტიკურ განყოფილების გამგე ს. კონი; ცენტრალურ სტატისტიკურ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ს. ტიმოფეევი; ცენტრალურ სტატისტიკურ განყოფილების თავმჯდომარე მ. მანდელშტამი, ქალაქის მოურავის მოადგილე გ. კონიაშვილი, ტფილისის სამაზრო ერობის სტატისტიკურ განყოფილების გამგე გ. ბენაშვილი და ი. კუხალაშვილი; თათბირმა შეიმუშავა ძირითადი დებულებები ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის და ერობები სტატისტიკურ განყოფილებათა კომპეტენციის შესახებ.

# მოწოდება.

რესპუბლიკის დაბა ქალაქებში შემდგარია კომიტეტი შემოწირულებათა შესაგროვებლად გორის სასარგებლოდ, მაგრამ მრავალნაირი შემოწირულება არ იგზავნება დანიშნულებისამებრ.

კომიტეტს არ მოსდის ცნობა შემომწირველთაგან და არც შეუძლია, თვითონ მოიკითხოს ყველა შემოწირულებანი.

ამიტომ კომიტეტი სთხოვს ყველა საერობო თემებს, ქალაქთა თვითმმართველობებს, და სხვა და სხვა საზოგადოებებს აცნობონ ანკეტის სახით მთავრობის საგანგებო კომიტეტს შემდეგი:

1) სწარმოებს ადგილობრივ დამხმარე კომიტეტი თუ არა.

2) რა შეგროვდა.

3) იქმნა გაგზავნილი თუ არა.

4) როდის რა და ვის სახელზე.

ხოლო ამიერიდან ყველა შემოწირულებანი ნივთები და სურსათი უნდა იგზავნებოდეს დაუყონებლივ რწმუნებულ ექ. ზანდუკელის სახელზე (ანასტასიევის ქუჩა № 13) ქ. ტფილისში, ფული კი ექ. ივ. გომართელისა ანასტასიევის ქუჩა № 21.

მთავრობის საგანგებო კომიტეტის
თავმჯდომარე რ. არსენიძე.

# რკინის გზაზე

საქართველოს რკ. გზის უფროსმა კანდელაკმა 23 აპრილს აცნობა ადერბეიჯანის რკინის გზის სამმართველოს, რომ გორის საბოლე მილის შესწორებას უკვე შეუდგნენ. საერთაშორისო რკინ. გზ. ბიუროს ჟურნალის № 43 თანახმათ თქვენ უნდა დაგეწყოთ ნავთის გადაზიდვა 20 აპრილიდან, მიუხედავათ ამისა დღემდე გრძელდება დაწმენდილი ნავთის მიღება ბაქოში; მუშაობის გადადება შემდეგში შეუძლებლათ მიმაჩნია. დეპეშით მაცნობეთ როდის დაიწყება ნავთის გადაზიდვა. ნავთის უკანასკნელ პარტიის მიღების ვადა არის 10 მაისი.

ადერბეიჯანში მომხდარ ამბების გამო, ექსპლოატაციის უფროსის ბ. აბელოვის განკარგულებით სასწრაფო მატარებლები №№ 1 და 2 ტფილისსა და ფოთს შუა, მატარ. №№ 5, 6, 7 და 8 ტფილისსა და სალოღლის შუა, მატ. № 17 და 18 ტფილისსა და ბათუმს შუა აღარ ივლიან, ივლიან მხოლოდ შემდეგი მატარებლები: სალოღლიდან ფოთამდე და ტფილის—სანაინი საფოსტო მატ. № 3 და 4; ტფილისი—ბათუმი № 5 და 6; ტფილისი ქუთაისი № 9 და 10 და ტფილისი—ბორჯომი № 19 და 20.

—

საქართველოს მთავრობის განკარგულებით შეწყვეტილია მოსამსახურეთათვის სასწრაფო მატარებლის მიმოსვლა.

—

ამავე რიცხვში სადგ. ნავთლუღიდან ყარსში გაიგზავნა 775 ობოლი ბავშვი, ლტოლვილი—სომხები.

# მილიციაში

დამატებითი დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ტფილისის ხაზინას აკლია კიდევ 270,000 მ., სადაც დამნაშავე არიან იგივე მოლარე პ. საყვარელიძე და ბუხჰალტერი დ. ქურდოვანიძე, რომლებიც დანაშაულში გამოტყდენ და შეიტანეს ფული შემდეგი ანგარიშით: საყვარელიძემ შეიტანა 140 ათასი მან. და ქურდოვანიძემ 130 ათასი მან. ფული ხაზინას ჩაბარდა. საქმე პროკურორს გადაეცა.

სისხლ. სამართ. მილ. შეიპყრო ეკატერინე ცეპა და გრიგოლ ხატისოვი, რომელთაც ბრალდებათ ნივთების მოპარვა სულ 70,000 მან. მარიამ კრივუშინას ბინიდან. ცეპა გამოტყდა ქურდობაში და განაცხადა, რომ ნივთები მოიპარა გრიგოლ ხატისოვმა, რომელმაც ეს ნივთები მიიტანა მის ბინაზე, ცეპამ კი წაიღო მარიამ პუნკოვოდოვას ბინაზე, სადაც მილიციამ აღმოაჩინა მოპარულ ნივთების ნაწილი.

სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა ელისაბედ ბალიევა, რომელსაც ბრალდებოდა ლიუცია ჩაჩიბაიას ნივთების მოპარვა სულ 50,000 მან. ბალიევა ქურდობაში გამოტყდა, მის ბინაზე აღმოჩნდა ნაწილი მოპარული ნივთებისა, რომელიც პატრონს ჩაბარდა.


## განცხადებანი

სისხლის სამართლის წარმოების წესდების მე-846, 847 და 848 მუხ. თანახმათ ქუთაისის მესამე (ვაგზლის) უბნის მომარიგებელ მოსამართლის დადგენილებისა მოსაძებნია მიხეილ ბრეგაძე, რომელსაც ბრალათ ედება დანაშაული აღნიშნული სისხ. სამარ. წესდ. 142 მუხ., და ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ის, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს, ხოლო დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებულნი არიან გადასცენ იგი ადგილობრივ მომრიგებელ სასამართლოს მეურვეობის (ოპეკის) დასანიშნავათ. 0356 1—1

სამტრედიის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ რევაზ იესეს ძე ნიკოლეიშვილისას—მცხოვ. გომის თემისა, ქუთაისის მაზრისა, მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ უფლება გარდაცვალებული ნიკოლეიშვილის ქონებაზე აღნიშნულ 1241 მუხ. I ნაწ. X ტ. სამოქ. კან. კრებულისა ვადაში. 0409 1—1

ქუთაისის საეპარქიო სასამართლო ამით აცხადებს, რომ 30 ენკენისთვის წარსული 1919 წელში აქ შემოიტანა თხოვნა მცხოვრებმა ს. გუგუთში ერმილე ნიკოს ძე სირაძემ ცოლთან თებრონე ონისიმე თედორაძის ასულთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარდაწერილნი არიან ოფიშკეთის ღვთისმშობლის ეკლესიაში 1908 წ. 2 ნოემბერს, ხოლო ორი წლის შემდეგ, ერმილე სირაძის განცხადებით, მისი ცოლი თებრონე თედორაძის ასული უგზო-უკვალოდ დაიკარგა. ამ განცხადების ძალით, ყველა ვინც იცის სად სცხოვრობს თებრონე სირაძისა, ვალდებულია განუცხადოს ქუთაისის საეპარქიო სასამართლოს სამი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა. 408 1—1

სამტრედიის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ პორფილე საბას ძე სტურუას, მცხოვრებ კულაშის თემისა, ქუთაისის მაზრისა, რათა მათ განაცხადონ უფლება გარდაცვალებულ სტურუას ქონებაზე აღნიშნულ 1241 მუხ. I ნაწ. X ტ. სამოქ. კან. კრებულის ვადაში. 0401 1—1

ალბულაღის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულების ივანე და დარია კოსტილევეების მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ხსენებულ კოსტილევეების სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე კანონთა კრებულის მე-10 ტომის, 1 ნაწ. 1241 მუხლ. აღნიშნულ ვადაში. 332 1—1

ოზურგეთის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მცხოვრების შემოქმედის თემის ალექსანდრე გაბრიელის ძე მამულაიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავიანთი უფლება მამულაიშვილის ქონებაზე სამოქ. კან. წესდ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 0245 1—1

სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე ამით აცხადებს, რომ მცხოვრებნი ს. კადარის, სენაკის მაზრისა, ალექსანდრე დიმიტრის ძე ხაფავა, შემდეგ ჯეროვანი გამოცდისა, ჩანიშნულია სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქში კერძო ვექილთა სიაში 14 თებერვლიდან 1920 წ. 0367 1—1

ქალაქ ტფილისის მე-5 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ კლიმენტი სპირიდონის ძის სვანიძის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავის უფლება გარდაცვალებულის ქონებაზე მე-X ტ. 1 ნაწ. 1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში. 0331 1—1

ხრესილის უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმად თავის დადგენილებისა 1920 წლის 11 მარტიდან, იწვევს გარდაცვალებულ პავლე ლევანის ძე სოფრომაძის მემკვიდრეებს თავიანთი უფლების განსაცხადებლათ სოფრომაძის ქონებაზე 1241 მუხ. X ტ. ნაწ. 1 სამოქალაქო კანონთაკრებული აღნიშნულ ვადაში. 0329 1—1

დაიკარგა ერთი სულის სასურსათო წიგნაკი № 357, ანასტასია გოგიჩევას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 705 3—3

დაიკარგა ქუჩაზე ხილით ვაჭრობის ნებართვა, ქიარიმ მალმედ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის თვითმართველობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 707 3—3

დაიკარგა პასპორტი, ლექსანდრე გრიგოლის ძე სარიბეკოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1919 წ., ორი ვექსილი 5.000 მან. არტაშ არიუთინოვის ხელმოწერილი და ქართული კლუბის საწევრო ბილეთი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 745 3—3

დაიკარგა სამი მდინარე მტკვარზე თევზაობის ხელშეკრულება მოიჯარადრე სარქის ალექსის ძე კაკოიანცის სახელზე, რომელთაგან ერთი იყო დადებული ტფ. სამაზ. ერობასთან და ორი კი საქ. რესპ. მიწათ მოქმედ. სამინისტროსთან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 759 3—3

დაიკარგა ტერ სტეფანოვის გიმნაზიის ოთხი კლასის დამთავრების მოწმობა ფადეი მარტინის ძე კოზელკევიჩის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 758 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ბახვის თემიდან და სხვა და სხვა საჭირო კვიტანციები ალექსანდრე სამუილის ძე სოსელიას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 767 3—3

დაიკარგა ორი სულის სასურსათო წიგნაკი № 28440 გრიგოლ არუსტამოვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 740 3—2

დაიკარგა პასპორტი პეტრე ივანეს ძე თაყაძის სახელზე, მიღებული მეჯვრისხევის სოფლის სამმართველოდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 741 3—2

დაიკარგა ექვსი სულის სასურსათო წიგნაკი № 20795 ივანე მერქუმის ძე აპრესიანცის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 742 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა, გრიგოლი ტერ-ოსიპოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 447 3—2

დაიკარგა პასპორტი ნიკოლოზ ანდრიას ძე ჯორბენაძის სახელზე, მიღებული საქართველოს კონსულის სამმართველოდან ქ. ბათუმში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 749 3—2

დაიკარგა ორი ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ: ერთი 17 დეკემბერს 1908 წ. № 2858 და მეორე—21 სექტემბერს 1913 წ. № 805. სტეფანე ივანეს ძე დავითოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 774 3—2

ივანე ბალიას ძე მალაევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საბინაო დავთარი მისი სახლის, რომელიც მდებარეობს ვანქის ქუჩაზე № 4. 780 3—3

დაიკარგა ნ. მ. ბონდარენკოს, გუნიბის ქუჩაზე მესამე ბანდი № 3 მდებარე სახლის დავთარი № 6038. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 773 3—3

დაიკარგა ტფ. მეორე საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბილეთი № 768—600 მანეთს სალომე დავითის ასული დავიდოვის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 775 3—3

დაიკარგა ტფ. მიხეილის სახელობის რკ. გზის ტეხნიკური სასწავლებლის დამთავრების მოწმობა ლეონიდ პავლეს ძე კორენეცკის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 760 3—2

დაიკარგა მოწმობა ნიკოლოზ მგალობლიშვილის სახელზე, მიღებული გორის მაზრის სამხედრო უფროსისგან. 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 460 3—2

ლევან აპოლონის ძე ახვლედიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ექვს თვიანი მოწმობა, მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან და იარაღის ტარების მოწმობა, მიღებული სახალხო გვარდიის შტაბიდან და შინაგ. საქ. სამინისტროდან. საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 764 3—2

გიორგი სიმონის ძე გამდლიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული დერბენტის ქალ. მილიციის სამმართველოდან 1918 წ., და მეტრიკული მოწმობა. საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 454 3—2

დაიკარგა ნიკოლოზ კოვალსკის, სასვაკლო შესახვევში № 5 მდებარე სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 783 3—2

დაიკარგა პასპორტი სერგო ივანეს ძე გაბარაშვილის სახელზე, მიღებული ორთევის თემიდან (გორის მაზრა) და კონდუქტორობი, მოწმობა სურათით. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 784 3—2

დაიკარგა ტიმოფეი კოლენიჩენკოს, მინკევიჩის ქუჩაზე № 10, მდებარე სახლის დავთარი. გაუქმებულიდ ჩაითვალოს. 785 3—2

მინდობილობა, მიცემული მარიამ იოსების ასულის გარსევანიშვილის მიერ ნიკოლოზ (ოქრო) ალექსანდრეს ძე და კონსტანტინე გიორგის ძე გარსევანიშვილებისადმი და დამტკიცებული ცხინვალის უნცროსი ნოტარიუსის მიერ 14 აპრილს 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 772 3—3

ვარლამ ფარნაოზის ძე ხვედელიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული კულაშის თემის გამგეობიდან 1920 წ. თებერვლის 14-ს, № 249 და სამხედრო ბეგარისგან განთავისუფლების მოწმობა. საბუთები გაუქმებულია. 444 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში შემოიტანა მართა ნიკოლოზის ასულმა ნიკოლოზიშვილისამ თხოვნა თავის ქმრის მიხეილ ესტატეს ძე ნიკოლაშვილზე, რომელზედაც დაიწერა ჯვარი 1912 წელს, 12 ნოემბერს და ითხოვს განქორწინებას მხეილ ესტატეს ძე ნიკოლაშვილისაგან მის უკვალოდ დაკარგვის გამო, რომელიც დაიკარგა 1915 წელს, ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით ყველა ვალდებულია აცნობოს სამიტროპოლიტო სასამართლოს მისი მისამართი, ორი თვის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა. 507 2—2

დაკარგულია სასურსათო ბარათი გაცემული შრომის სამინისტროს, მუშათა მაგიდიდან, მაქსიმე ზაქარიას ძე გაბაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ.) 3—3

დაკარგულია კონსტანტინე ჩარკვიანის, ელიაროვის ქუჩაზე № 7, მდებარე სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 700 3—3

ალექსანდრე დიმიტრის ძე დეკანოზიშვილი აცხადებს, რომ მას მოჰპარეს მატარებელში 5 მარტს ა. წ. მოწმობა № 1926 თებერვლის 12-ს 1920 წ., მიცემული ეროკავშირიდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 327 3—1

ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე, აცხადებს, რომ დაიკარგა იმავ ტაძრის ეზოს 1919 წლის საბინაო დავთარი. 769 3—3

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ანნა ვასილის ასულმა ლეკიშვილისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი დიმიტრი გიორგის ძე ლეკიშვილი, რომელზედაც მან ჯვარი დაიწერა 1909 წელს, უკვალოდ დაიკარგა, 1910 წელს, რის გამო ცოლი მისი ანნა ვასილის ასული ლეკიშვილისა ითხოვს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგული დიმიტრი გიორგის ძის ლეკიშვილის მისამართი ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა, ორი თვის განმავლობაში. 768 3—3

დაკარგულია ზედნადები (накладная) 3522 ფ. ნავთზე № 2034 ზაზუნოვის სახელზე, გაუქმებულათ ითვლება. 766 3—3

დაიკარგა ტყიბულის საზ. „ნახშირას“ აქციები №№ 0741, 0742, 0744. 0745, 0748, 0749 კარაპეტ თომას ძე ვართანოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 778 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა პოლკოვნიკი ირიკლი ივანეს ძე ალექს-მესხიშვილის სახელზე, მიღებული მე-5 ქართულ პოლკიდან 1919 წ. ოფიცერთა ეკონომიურ საზ. გამგეობის წევრობის მოწმობა სურათით. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 755 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 1 ანა სიმონის ასული კაჩინას სახელზე, მიღებული სოფ. ბაბკინის სამმართველოდან (პერმის გუბ.) გაუქმებულათ ჩაითვალოს. 756 3—2

დაიკარგა პასპორტი № 487 პავლე ვასილის ძე კორჟენევსკის სახელზე, მიღებული საქართველოს მისიიდან ქ. კიევში 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 810 3—2

დაიკარგა პასპორტი დიმიტრი იორდანის ძე ნონიაშვილის სახელზე, მიღებული ქვემო ჭალის საეროებო თემიდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 794 3—1

დაკარგული საბინაო დავთარი მ. ავილოვას და ნ. იგნატიევის სახლისა, რომელიც მდებარეობს ტროიცკის ქ., № 3, გაუქმებულათ ითვლება.

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 5919 ნიკიფორე ოქროპირის ძე მანაგაძის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის აღრიცხვის უფროსისაგან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 751 3—3

დაიკარგა ატესტატი რვა კლასის დამთავრებისა როსტომ კონსტანტინეს ძე მესხიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ვაჟთა პირველი გიმნაზიიდან 1914 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 777 3—3

დაკარგულია ფოთის საბაჟოდან საზღვარგარეთ გასატანი რკინის გზიდან გამოწერილი ორი ცისტერნი ნავთის დუბლიკატები, რომელიც იყო გამოგზავნილი ტრანზიტით ფოილოდან № 36 და 39 და 342848—343186 ვაგონებით დადაშევის სახელზე და რომელიც ფოთში რკინის გზიდან 14—25 აპრილს 1919 წელს გამოწერილი შემდეგ სრულ საკუთრებათ იყო-გადაცემული განსვენებელი კონსტანტინე ეგნატეს ძე ნარსიაზე, ეს ნავთი არის დღესაც ფოთის პორტის საწყობში, 351 ცალი ფუთიან და 150 ცალი ორ ფუთ ნახევრიანი ბიტონები. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 810 3—1

რაჭის უბნის (ონის) მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მარკოზ ზაქარიას ძე კალმახელიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კალმახელიძის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-X ტ 1-6. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.
0414 1—1

რახმან ისაკის ძე ბახანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 4139, მიღებული სოფლის სამმართველოდან 1917 წ. სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფილ. მაზ. სამხ. უფროსიდან 1919 წ. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს 772 3—1

ქალაქ ტფილისის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 6 მაისს, სამშაბათს, დილით 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმმართველობის შენობა, თავისუფლების მოედანზე) საჯარო ვაჭრობა ქალაქის სასწორის, რომელიც მდებარეობს თათრის მოედანში მე 5 უბანში, იჯარით გასაცემათ. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 2—3 საათზე. 30 აპრ. 2 და 6 მაისს. 483 3—1

## ტფილისის მაზ.
# ტყის რევიზორი პირველი რაიონისა

ამით აცხადებს, რომ 3 თიბათვეს 1920 წ. დღის 12 საათ. ქ. თელავის სამაზრო ერობის ბინაზე
შ ე უ დ გ ე ბ ა

# საჯარო ვაჭრობა გაუმეორებლად

**დაბეჭდილი განცხადების დაშვებით.**

გასაყიდათ დანომრილი წიფლის ხეებისა კასრის ფიცრათ, თელავის სატყეო გამგეობის რაიონში: 1) უბ. „ნაქარალში“, კისისხევის დაბაში №№-ით 1—500=534.049 მანეთად და 2) უბ. „ნაქალაქარში„ ვარდისუბნის დაბაში №№-ით 1—1500=1.139.664 მანეთად. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ტყის რევიზორთან ქ. თელავში. 480 1—1

# საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის 7 მაისს დილის 10 საათიდან, ტფილისის საქონლის სადგურზე გაიყიდება გაუტანელი 3 ვაგონი სელიოდკები მარილიანი წონით 2700 ფუთი გაგზავნით იაშმა—ტფილისი № 2950, 2954 და 2955. ხელმეორედ ვაჭრობა დანიშნულია მეორე დღეს 8 მაის ამა წელს. 478 1—1

# საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 18 მაისსა. წ. დილის 10 საათიდან ცენტრალურ საწყობში გაიყიდება გაუტანელი ტვირთი და ბაგაჟი.

ტვირთი: გაგზავნით ბათომი—ნოტანები № 31—18 ც. საოჯახო ნივთები, წონ.: 77 ფ. (გამგზავნელი და მიმღები) ქ. ორლოვსკი. სადახლო—ქუთაისი № 24128 (გამგზავნელი ალიმუშუდ-ფლი მიმღები ნადირ-გადჟი—120 ც.—ზე წონ. 340 ფ.

ბაგაჟი: კვიტანციით: სოგუთ-ბულახი—ნოტანები № 4448—2 ც.—წონ. 1 ფუ. 10 გ. ბორჯომიდან—გომი № 58761. 3 ფ. 20 გ. ტფილისიდან—რიონი № 96149 1 ც. 1 ფ. 15 გ. ტფილისიდან. ტყიბული № 97275 1 ც. 10 გ. ტფილისიდან—ხარაგოული № 62481 ც. 38 გ. ბორჯომიდან—ტფილისი № 53463 1 ც. 5 ფ. ქუთაისიდან—ტფილისი № 63845 1 ც. 30 გ. ქუთაისიდან - ტფილისი № 63844 1 ც. 1 ფ. ხაშურიდან—ტფილისი № 31516 1 ც. 4 ფ. 30 გ. ხაშურიდან—ტფილისი № 31517 2 ც. 2 ფ. 20 გ. ზესტაფონიდან—ტფილისი № 272888 1 ც. 1 ფ. 15 გ. ზესტაფონიდან-ტფილისი № 272887 1 ც. 10 გ. ფოთიდან—ტფილისი № 123005 14 ც. 9 ფ.

უსაბუთო: 68 ც. ცარიელი ტომრები და 2 ც. ძველი კალენდრები.

ხელმეორედ გაყიდვა დანიშნულია მეორე დღეს 19 მაისს ა. წ. 481 3—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.